



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 59
05/09/2018

59-06-4-201809051510



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ:
 - ა) დააწესოს მკაცრი კონტროლი ბიუჯეტის ყოველკვარტალური გეგმის შესრულებაზე.
 - ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.
 - გ) უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების დროული ათვისება.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო